BDO

მაისი 2022
[NO.05] WWW.BDO.GE

საკანონმდებლო მაცნე

მეთოდური მითითებების დამტკიცება

წაიკითხეთ მეტი

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით გათვალისწინებული სანქციებისგან გათავისუფლების ღონისძიებები

2022 წლის 19 აპრილს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №9021, რომლითაც დამტკიცდა მეთოდური მითითება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით გათვალისწინებული იმ სამართალდარღვევათა შედეგად დაკისრებული სანქციებისგან გათავისუფლების შესახებ, რომლებიც ჩადენილია პირის შეცდომით/არცოდნით.

ამასთან, მეთოდური მითითებით ორივე კოდექსიდან მხოლოდ სამართალდარღვევის ზოგიერთ შემთხვევას შეიძლება შეეხოს სანქციებისგან გათავისუფლება, კერძოდ:

- საგადასახადო კოდექსის მხოლოდ 274-ე (საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების ვადის დარღვევა) და 282-ე მუხლის პირველი ნაწილით (დღგ-ს რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა) განსაზღვრულ სამართალდარღვევას

- საბაჟო კოდექსიდან მხოლოდ 165-ე მუხლის (საქონლის წარდგენის/ზოგადი დეკლარირების/საქონლის დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევა), 167-ე მუხლის პირველი (საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის გადასახდელის ოდენობის შემცირება) და მესამე ნაწილებით (ფიზიკური პირის მიერ 3,000 ლარამდე ღირებულების საქონელზე წარდგენილ საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის გადასახდელის ოდენობის შემცირება), ასევე 172-ე მუხლის პირველი ნაწილით (საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებელი ქმედება ან საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევა, რამაც გამოიწვია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონო განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება) განსაზღვრულ სამართალდარღვევებს.

შინაარსი

- საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით გათვალისწინებული სანქციებისგან გათავისუფლების ღონისძიებები

აღნიშნული მეთოდური მითითება ადგენს იმ კრიტერიუმებს, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც არის შესაძლებელი ზემოთ მოცემული სანქციებისგან გათავისუფლება. მაგალითად, სსკ-ით განსაზღვრული, დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევისთვის კრიტერიუმები, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც არის შესაძლებელი სანქციის მოხსნა, თუ სამართალდარღვევის მიზეზი არის შეცდომა/არცოდნა, არის შემდეგი:

- სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თარიღისთვის ან საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თარიღისთვის ან ჯარიმისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღისათვის პირადი აღრიცხვის ბარათზე არ უფიქსირდება აღიარებული საგადასახადო დავალიანება გადასახადის ნაწილში/აღიარებული მოსაკრებლის ნაწილში

- პირს, საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების დაგვიანებით წარდგენის წინა დღის მდგომარეობით 12 კალენდარული თვის განმავლობაში, იგივე ქმედება ჩადენილი არ აქვს.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისთვის დაკისრებული სანქციის მოხსნის მიზნით, თუ სამართალდარღვევის მიზეზი არის შეცდომა/არცოდნა, პირს დაკისრებული სანქცია შესაძლოა გაუუქმდეს თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- გადასახადის გადამხდელი თავად გამოავლენს დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის ფაქტს საგადასახადო ორგანოსთვის შესაბამისი განცხადებით მიმართვის საფუძველზე

- სამართალდარღვევის ოქმის შედგენის ან ჯარიმისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღისათვის გადასახადის გადამხდელს პირადი აღრიცხვის ბარათზე არ უფიქსირდება აღიარებული საგადასახადო დავალიანება გადასახადების ნაწილში

- დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის თაობაზე პირის მიერ საგადასახადო ორგანოში განცხადების წარდგენის შემდგომ, მაგრამ დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის ფაქტზე შესაბამისი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის გამოცემამდე, პირს წარდგენილი აქვს დღგ-ის შესაბამისი დეკლარაცია

- დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოში წარდგენილ განცხადებაში პირმა დააფიქსირა ამ განცხადების წარდგენის თვეში (მიმართვის თვის დასაწყისიდან მიმართვის მომენტამდე) განხორციელებული დღგ-ის დასაბეგრი ბრუნვა.

საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შემთხვევებთან დაკავშირებული კრიტირიუმები ასევე მოცემულია მეთოდურ მითითებაში.

ბრძანება ძალაშია 2022 წლის 1 მაისიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მოიცავს ინფორმაციას მეთოდური მითითებების დამტკიცების შესახებ და სხვა თემებთან დაკავშირებით.

მარიამ ხუსკივაძე
MKuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
Menukidze@bdo.ge

ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.